KA021738585257517

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY OF STATE PROPERTY

თბილისი 0108, თ.ჭოველიძის ქ.10ა 10a T.Chovelidze Str.,0108 Tbilisi,Georgia

N4/30801 **21 / ივნისი / 2017 წ.**

შპს „ალიანს მედის“ (ს/კ 405108477)
მის.:ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის N83 (აი სი ჯგუფის ოფისი)

თქვენი 2017 წლის 31 მაისის N47-01/17 (სააგენტოს რეგ. N45918/ფ) და 8 ივნისის N51-01/17 (სააგენტოს რეგ. N49213/ფ, 09.06.2017წ.) წერილების პასუხად გაცნობებთ, რომ საქმეში არსებული მასალების საფუძველზე დასტურდება სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო), საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და **შპს „ალიანს მედის“** (ს/კ 405108477) შორის 2016 წლის 30 დეკემბერს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1 მუხლით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულება და ამავე ვალდებულების ვადაგადაცილებით შესრულებისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა.

ამასთან თქვენი 2017 წლის 14 ივნისის N53-01/17 (სააგენტოს რეგ. N50997/ფ) წერილის გათვალისწინებით დანართის სახით გიგზავნით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დადასტურების შესახებ სააგენტოს შესაბამის წერილებს, რომლებითაც განხორციელდა ხელშეკრულების 2.1.1; 2.1.2; 2.2; 3.1.2 მუხლით ნაკისრი ვალდებულების ნაწილობრივ (ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში ხელშეკრულების დანართი №2-ით გათვალისწინებული სამედიცინო სერვისების მიწოდების ნაწილში) და 3.1.3 მუხლებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დადასტურება.

აქედან გამომდინარე, კომპანიის მიერ შესასრულებელია ხელშეკრულების 3.1.1; 3.1.2 (გადაცემულ უძრავ ქონებაზე ს.კ. 68.10.45.028 სამედიცინო სერვისების მიწოდების უწყვეტად შენარჩუნება ხელშეკრულების 3.1.1 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებამდე); 3.1.5 და მათგან გამომდინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები. რაც შეეხება წერილში დასმულ საკითხ(ებ)ს

ვალდებულებ(ებ)ის შესრულების ვადის/პერიოდის თუ შესრულების ტერიტორიული ფარგლების შესახებ, აღნიშნულთან დაკავშრებით გთხოვთ იხელმძღვანელოთ ხელშეკრულების პირობებით.

ამასთან, გაცნობებთ, რომ თქვენს 2017 წლის 31 მარტის №36-01/17 (სააგენტოს რეგისტრაციის №27048/ფ) წერილში მითითებულ საკითხთან დაკავშირებით, სააგენტოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე გეცნობებათ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მხრიდან შესაბამისი პოზიციის წარმოდგენის შემდგომ. დამატებით გაცნობებთ, რომ წინამდებარე წერილი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც საკითხის დადებითად გადაწყვეტის გარანტია და კომპანიის მიერ არ შეიძლება განხილულ იქნას ადმინისტრაციული ორგანოს დაპირებად, რომელიც შეიძლება გახდეს კომპანიის კანონიერი ნდობისა და აქედან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების ან/და სხვა მოთხოვნის წარმოშობის საფუძველი.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი თინათინი ჩაჩანიძე